

საქართველოს სსრ.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# ბანონთა და გენკარგულეგათს კრებული

სახალხო კომისარათა საბჭოს და ეკონომიკური საბჭოს  
საქმეთა მმართველობის გაფორმება

1931 წ. აპრილის 30.

№ 7

ნაწილი პირველი

## შ ი ნ ა რ ს ი

### ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

72. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1931 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.

## შ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

### 72. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1931 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარათა საბჭოს 1931 წლის მარტის 20-ის დადგენილებით (სსრკ-ის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის „იზესტია“ 1931 წ. № 88) დამტკიცებული 1931 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულებისა და ა/კსფსრ-ში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისარათა საბჭოს აპრილის 9-ს დადგენილების („ზარია ვოსტოკა“ 1931 წ. № 105) შესაბამისად—საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭო ადგენს:

დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1931 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებისათვის.

## კ ა რ ი I.

### ზოგადი დებულებანი

1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება:

ა) კოლექტიური მეურნეობა (სასოფლო-სამეურნეო კომუნა, სასოფლო-სამეურნეო არტელი და მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა);

ბ) კოლექტიური მეურნეობის წევრის მეურნეობის განუსაზღვრადობელი ნაწილი;

გ) ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობა.

2. სარეწაო კოოპერაციის კავშირის შედგენილობაში შემავალი შერეული სარეწაო სასოფლო-სამეურნეო არტელი (სარეწაო კოლექტიური მეურნეობა) დაიბეგრება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ყველა თავისი შემოსავლისათვის, უკეთეს სოფლის მეურნეობა ამ არტელში განსაზღვრადობულია არა ნაკლებ, ვიდრე იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელნიც კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირის შედგენილობაში შედიან.

3. ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობის მიერ მარტივ შენაერთში მონაწილეობით მიღებული შემოსავალი დაიბეგრება როგორც ინდივიდუალური მეურნეობის შემოსავალი.

4. საგადასახადო წელიწადი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის ითვლება იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე ამ რიცხვითურთ.

## კ ა ტ ი II.

### კოლექტიურ მეურნეობათა დახმავება

ა) კოლმეურნეობათა დასაბეგრა შემოსავლის გამოანგარიშება.

5. გადასახადი გამოანგარიშება თვითი კოლექტიური მეურნეობისათვის მისი საერთო შემოსავლის მიხედვით.

საერთო შემოსავალი გამოიკვევა კოლექტიურ მეურნეობის საგადასახადო წლის წლიური ანგარიშის საფუძველზე.

გადასახადის გამოანგარიშების დროს კოლექტიური მეურნეობის საერთო შემოსავალს გამოაკლდება:

ა) ყველა ანარიცხი განუყოფელი ფონდისათვის და სხვა საზოგადოებრივი ფონდებისათვის;

ბ) შეღავათის წესით დადგენილი ყველა მონაკლები;

გ) თევზაობის ყველა ის შემოსავალი, რაც იბეგრება თევზაობის ერთიანი გამოსაღებით;

დ) კოლექტიური მეურნეობის არასამიწათომქმედო საწარმოთა ყველა საწარმოო ხარჯი.

ბ) გადასახადის გამოანგარიშება კოლექტიურ მეურნეობათათვის.

6. გადასახადი კოლექტიური მეურნეობისათვის გამოანგარიშება შემდეგი რაოდენობით:

სასოფლო-სამეურნეო კომუნისა და არტელისათვის—3 კაპიკი საერთო შემოსულის თითო მანეთზე;

მიწის საერთო ძალით დამუშავებელი აზნაგობისათვის—4 კაპიკი საერთო შემოსავლის თითო მანეთზე.

7. კოლექტიური მეურნეობა, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარდა, არავითარი სხვა გადასახადით არ დაიბეგრება; გამონაკლისს შეადგენს მარტოდენ: ა) ბრუნვის გადასახადი იმ საწარმოს და სარეწაოსათვის, რომელიც დაბეგრილ უნდა იქნეს ბრუნვის გადასახადის კანონის თანახმად, ბ) წყლის გამოსაღები სარწყავ სამიწათმოქმედო რაიონებში; ამ გადასახადებით კოლექტიური მეურნეობა დაიბეგრება.

### გ. კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები.

შეღავათები მცირეძალოვანი კოლექტიური მეურნეობებისათვის და იმ კოლექტიური მეურნეობებისათვის, რომელთაც თავიანთ შედგენილობაში მიიღეს მცირეძალოვანი მეურნეობანი.

8. გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლდება ის კოლექტიური მეურნეობა, რომლის მთელი საერთო შემოსავალი (იმ ანარიცხის, მონაკლების, შემოსავლის და ხარჯის გამოუკლებლად, რაც ვათვალისწინებულა მე-5 მუხლით) მკამელზე 60 მანეთს არ აღემატება.

სარაიონო-საგადასახადო კომისიას შეუძლიან ცალკეულ შემთხვევებში განთავისუფლოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, მცირეძალოვნობის გამო, ისეთი კოლექტიური მეურნეობაც, რომლის საერთო შემოსავალი მკამელზე 60 მანეთს აღემატება, ხოლო 75 მანეთზე მეტი არ არის.

9. კოლექტიური მეურნეობის დაბეგრის დროს უნდა გამოაკლდეს 75% იმ მიწის საერთო შემოსავალს, რაც კოლექტიურ მეურნეობას გადაეცა თავისი წევრისაგან, რომელიც 1930 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული იყო, როგორც მცირეძალოვანი ინდივიდუალური მეურნეობა.

კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები ნათესი ფართობის გადიდების მიზნით.

10. ნათესი ფართობის გადიდების მიზნით კოლექტიურ მეურნეობაში დაბეგრისაგან განთავისუფლდება:

- ა) მთლად ნათესი ფართობის ნამატი 1930 წელთან შედარებით;
- ბ) 1930 წელს მოხნული დიდხანს უხმარი მიწა და გაუტეხავი მიწა, უკეთესს მიწა 1930 წელს დაბეგრისაგან განთავისუფლებული იყო.

კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები მეცხოველეობისა და მერძეული მეურნეობის განვითარების მიზნით.

11. მეცხოველეობისა და მერძეული მეურნეობის განვითარების მიზნით კოლექტიურ მეურნეობებს ეძლევათ შემდეგი შეღავათები:

- ა) არც ერთი სახის საქონელი კოლექტიურ მეურნეობაში არ დაიბეგრება;

ბ) იმ კოლექტიურ მეურნეობაში, სადაც მერძევეობის ცენტრთან და მელორობის ცენტრთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, მერძევეობისა და მელორობის სასაქონლო ფერმები, სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდება:

ა) ფერმების მთელი საერთო შემოსავალი;

იმ საკვების მთელი ღირებულება, რასაც კოლექტიური მეურნეობა ფერმას გადასცემს;

ბ) შემოსავალი თვითიწილი ჰექტარი მიწისა, რაც ნათეს ბალახს და საკვებ ფესვნარს უჭირავს, გაუთანასწორდება ერთი ჰექტარი მარცვლეული კულტურის შემოსავალს იმავე კოლექტიურ მეურნეობაში.

**კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები ტენიკური კულტურებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების განვითარების მიზნით.**

12. ტენიკური კულტურებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების განვითარების მიზნით კოლექტიურ მეურნეობებს ეძლევათ შემდეგი შეღავათები:

ა) შაქრის ჯარხლის ნათესი და ჩაის პლანტაცია კოლექტიურ მეურნეობაში სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან;

ბ) თვითიწილი ჰექტარი სელისა და კანაფის შემოსავალი კოლექტიურ მეურნეობაში გაუთანასწორდება ერთი ჰექტარი მარცვლეული კულტურის ნახევარ შემოსავალს იმავე კოლექტიურ მეურნეობაში;

გ) ბამბის, სოიას, მწვუჭურტას და სხვა ზეთოვანი მცენარეების, აგრეთვე ყვითელი თამბაქოს და წიკოს, კენაფის, კენდირის, აბუსალათინის, ხაოიანი მცენარის და სორგოს ნათესისა და ცერცოვანი მცენარეების სათესლე ნაკვეთებისა, ბოსტნისა, ბალისა, ვენახისა და ხბილის (იაგოდა) ნარგავის დაბეგვრისათვის ამ კულტურების თვითიწილი ჰექტარის შემოსავალი გაუთანასწორდება ერთი ჰექტარი მარცვლეული კულტურის შემოსავალს იმავე კოლექტიურ მეურნეობაში (ხოლო უკეთეს უწყებულ კოლექტიურ მეურნეობაში მარცვლეული ნათესი არ არის, — ერთი ჰექტარი მარცვლეული კულტურის საშუალო შემოსავალს, რაც იქნება იმავე რაიონის კოლექტიურ მეურნეობებში);

დ) კოლექტიურ მეურნეობაში სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან:

1) ბამბის ნათესი ბოგარულ (ურწყავ) მიწაზე ყველა სარწყავ სამიწათმოქმედო რაიონში და ყველა ახალ რაიონში;

2) მიწის ის ფართობი, რაც 1930 და 1931 წ.წ. ახლად იქნა გამოყენებული ბოსტნისათვის;

3) ამოძირკულ ან მელიორირებულ ნაკვეთზე 1930 და 1931 წ.წ. ახლად გაშენებული ყვითელი თამბაქოს და წიკოს პლანტაციების ფართობი — ორი წლით გაშენების დროიდან; სხვა ნაკვეთებზე 1931 წელს ახლად გაშენებული ყვითელი თამბაქოს და წიკოს პლანტაციების ფართობი — ერთი წლით გაშენების დროიდან;

ე) მეფრინველეობა, შინაური კურდღლის მოშენება და მეფუტკრეობა კოლექტიურ მეურნეობაში სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან.

იმ კოლექტიური მეურნეობათა შეღავათები, რომელთაც შეასრულეს დავალებანი თესვისა, დამუშავებისა და მოსავლის აკრეფის დარგში.

13. იმ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც შეასრულებს საწარმოო დავალებას თესვისა, დამუშავებისა და მოსავლის აკრეფის დარგში, გამოანგარიშებული გადასახადი შეუმცირდება 10%-ის რაოდენობით.

14. მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც მეთესლეობის კოლმეურნეობათა ცენტრის სისტემაში შედის, გამოანგარიშებული გადასახადი შეუმცირდება 10%-ით, უკეთუ იგი მთლად შეასრულებს საწარმოო დავალებას მეთესლეობის დარგში; ეს გარემოება არ წაართმევს კოლექტიურ მეურნეობას იმის უფლებას, რომ მას გადასახადი შეუმცირდეს 13 მუხლის თანახმად, უკეთუ იგი მთელს საწარმოო გეგმას შეასრულებს.

#### შეღავათები კოლმეურნეთა არასამიწათმოქმედო საშოვარის ანარიცხების დარგში.

15. კოლექტიური მეურნეობის საერთო შემოსავლიდან დაბეჯვრის დროს გამოირიცხება კოლექტიური მეურნეობისათვის გადაცემული ყველა ანარიცხი კოლმეურნეთა არასამიწათმოქმედო საშოვარისა, უკეთუ ეს საშოვარი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეჯრება (მუხ. 34).

იმ კოლმეურნეობათა შეღავათები, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან სამხედრო მსახურნი, ორდენებით დაჯილდოებული პირნი, შრომის გმირები, გამხედროებული დაცვისა, მილიციისა და სისხლის საქმეთა სამქებროს სამსახურში მყოფი პირნი და აგრეთვე კულაკური ძალადობისაგან დაზარალებული პირნი და სხვ.

16. გადასახადის გამოანგარიშების დროს კოლექტიური მეურნეობის საერთო შემოსავლას გამოაკლდება ის ნაწილი, რაც მოდის კოლექტიური მეურნეობის შემდეგ წევრებზე;

ა) იმ პირზე, რომელიც დაჯილდოებულია სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ-ის ერთი ან რამდენიმე ორდენით ან და საპატიო რევოლუციონერი იაზალით, აგრეთვე შრომის გმირზე;

ბ) საკადრო სამერიცეო და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურზე, რომელიც ვადიან (მუღმიე) სამსახურშია ან ვადაზე ზედმეტ სამსახურში, 1931 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის საკადრო და რეზერვში მყოფ სამხედრო მსახურზე;

დ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის იმ პირზე, რომელიც გრძელვადიან შვებულებაშია, ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად

შედგენილობაშია და სათადარიგოდ იმყოფება და რომელიც გაწვეულია ისეთ პირთათვის დაწესებულ შეკრებებზე ან ინსტრუქტორად წვევამდებამდე და ჯარს-გარეშე მომზადების ჩასატარებლად;

ე) უმცროსი საკომანდო შედგენილობის იმ სამხედრო მსახურზე, რომელიც გრძელვადიანი შევებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვა-ლებად შედგენილობაში;

ვ) ყოფილ წითელგვარდიელზე და წითელპარტიზანზე;

ზ) მილიციის სპადმინისტრაციო და სამწყობრო შედგენილობის პირზე და აგრეთვე სისხლის საქმეთა სამძებროს აქტიური და აღმინისტრაციული შედგე-ნილობის პირზე;

თ) გამხედროებული დაცვის სამსახურში მყოფ პირზე (მათ რიცხვში—გამ-ხედროებული სახანძრო დაცვის სამსახურში მყოფ პირზე);

ი) ომისა და შრომის ინვალიდზე, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთვნება;

კ) კულაკების მიერ კულაკობის წინააღმდეგ გამოსვლისათვის მოკლული პი-რისა და აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შეს-რულებასთან დაკავშირებით მოკლული ტყის მომუშავეს ჭერიზე და არასრულ-წლოვან შეილზე—5 წლის განმავლობაში აღნიშნულ პირთა სიკვდილის შემდეგ;

ლ) კოლექტიურ მეურნეობაში მიღებულ საბავშვო სახლის მოწაფეზე და გარედან აყვანილ სრულ ობოლზე.

#### გადასახლებულ კოლექტიურ მეურნეობათა შედავათები.

17. იმ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც ახალ ადგილას გადასახლ-დება საგეგმო წესით, მიეცემა შემდეგი შედავათები:

ა) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა მიწის ამოძირკვა და სხვა სამელიორაციო მუშაობა კულტურული მიწების განმზადებისათვის, გადასახადისაგან განთავისუფლდება 6 წლის გან-მავლობაში დაბინავების შემდეგ;

ბ) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგი-ლას, სადაც საჭიროა გაუტეხავი მიწის დამუშავება, განთავისუფლდება გადა-სახადისაგან 4 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ;

გ) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგი-ლას, სადაც გაუტეხავი მიწის დამუშავება საჭირო არ არის, განთავისუფლდება გადასახადისაგან 3 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ.

#### დ. კოლექტიურ მეურნეობათა შიკრ გადასახადის გადახდის წესი და ვაჭება.

18. არა უგვიანეს 1931 წლის ნოემბრის 1-ისა კოლექტიური მეურნეობის გამგეობა თავისი დაფორებისა და საწარმოო გეგმის მიხედვით გამოიანგარი-შებს გადასახადის იმ განაკვეთს, რაც ამ კოლექტიურ მეურნეობაზე მოდის.

19. გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს შენდევ ვადაზე: 50 პროცენტი შეწერილი გადასახადისა—1931 წლის ნოემბრის 1-სათვის და 50 პროცენტი ამავე წლის დეკემბრის 15-სათვის.

20. არა უგვიანეს 1932 წლის თებერვლის 1-ისა კოლექტიური მეურნეობის განჯეობა, თავისი წლიური ანგარიშის საფუძველზე, წარუდგენს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს (საფინანსო განყოფილების ხაზით) ცნობებს, რაც საჭიროა 1931 წლის გადასახადის საბოლოოდ გამოანგარიშებისათვის.

21. უკეთეს საბოლოოდ გამოანგარიშებული გადასახადი იმ თანხაზე მეტი აღმოჩნდება, რაც კოლექტიურმა მეურნეობამ შეიტანა, განსხვავება გადახდილ უნდა იქნეს თებერვლის 10-სათვის.

უკეთეს კოლექტიურმა მეურნეობამ შეიტანა მეტი თანხა, ვიდრე მასზე საბოლოო გამოანგარიშებით ნოდის, ზედმეტად გადახდილი თანხა მას დაებრუნება.

### კ ა რ ი III.

#### კოლექტიური მეურნეობის წევრების მეურნეობათა განსახორგადოებელი ნაწილის დაბეგვრა.

ა) კოლექტიურობის წევრთა დასაბეგრა შემოსავლის გამოანგარიშება.

22. კოლექტიურობების წევრების მეურნეობათა განსახორგადოებელი ნაწილისათვის გადასახადი გამოანგარიშება იმ შემოსავლის მიხედვით, რაც მიიღება შემდეგი წყაროებიდან:

- ა) მემინდერობა;
- ბ) მეველეობა;
- გ) სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგები;
- დ) არასამიწათმოქმედო საშოვარი.

მეცხოველეობის შემოსავალი დაიბეგრება მხოლოდ იმ მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობის წევრის მეურნეობაში, სიდაც მუშა-საქონელი და ინვენტარი განსახორგადოებელი არ არის.

23. კოლექტიური მეურნეობის წევრის დასაბეგრი შემოსავალი 22 მუხლში ჩამოთვლილი წყაროებიდან განისაზღვრება იმავე წესით, როგორც ინდივიდუალურ მეურნეობათა შემოსავალი (მუხ. 28—48).

24. კოლექტიური მეურნეობის წევრის არასამიწათმოქმედო საშოვარის აღნუსხვის დროს გამოკლებულ უნდა იქნეს ის ნაწილი, რაც კოლექტიური მეურნეობის სახსარში ჩაირიცხება.

უკეთეს კოლექტიური მეურნეობის წევრმა შემოსავლის წყაროების აღნუსხვის დროისათვის თავი მიანება იმ რეწაობას, რაც მას არასამიწათმოქმედო საშოვარს აღეცდა, სასოფლო საგადასახადო კომისიის შეუძლიან ეს საშოვარი გადასახადისაგან გაანთავისუფლოს.



ბ. კოლმეურნეობების წევრთათვის გადასახადის კამოანგარიშება.

25. კოლექტიური მეურნეობის წევრის არაგანსაზოგადოებულ შემოსავალზე გადასახადის კამოანგარიშების დროს:

მეურნეობის შემოსავლის პირველ 50 მანეთზე გადახდევინებულ იქნება 4 კაპ. თითო მანეთზე.

50 მან. მეტი თანხისათვის 100 მ-დე გადახდ. იქნება 5 კ. თითო მან.

100	"	"	150	"	"	8	"	"	"
150	"	"	200	"	"	10	"	"	"
200	"	"	300	"	"	13	"	"	"
300	"	"	400	"	"	17	"	"	"
400	"	"	500	"	"	22	"	"	"
500	"	"	700	"	"	27	"	"	"
700	"	"				30	"	"	"

გ. კოლმეურნეობების წევრთა შეღავათება.

26. კოლექტიური მეურნეობების წევრთ ეძლევათ ყველა შეღავათი, რაც დადგენილია ინდივიდუალური მეურნეობებისათვის (მუხ. 53-77). ამის გარდა, მათ ეძლევათ შემდეგი შეღავათები:

ა) სრულიად განთავისუფლება გადასახადისაგან კოლექტიური მეურნეობის ის წევრი, რომელიც 1930 წელს განთავისუფლებულ იქნა დაბეგვრისაგან, როგორც მცირეძალოვანი ინდივიდუალური მეურნეობა;

ბ) სრულიად განთავისუფლება დაბეგვრისაგან მთლად ოთხეხი საქონელი სასოფლო-სამეურნეო კომუნისა და არტელის წევრის მეურნეობაში და იმ მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობის წევრის მეურნეობაში, სადაც მუშა-საქონელი და ინვენტარი განსაზოგადოებულია;

გ) იმ მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობის წევრის მეურნეობაში, სადაც მუშა-საქონელი და ინვენტარი განსაზოგადოებული არ არის, პროდუქტიული ოთხეხი საქონელი (ხარი, ძროხა, ცხვარი და თხა) დაიბეგრება ერთი-ორად შემცირებული ნორმების მიხედვით ინდივიდუალურ მეურნეობებთან შედარებით;

დ) გადასახდებელი კოლმეურნეობის წევრის მეურნეობა გადასახადისაგან განთავისუფლება იმავე ვადით, რაც დადგენილია თვით ამ კოლექტიური მეურნეობის განთავისუფლებისათვის (მუხ. 17).



დ. კოლმეურნეობათა წევრებს შერ კადასახადის კადასადის ვადები.

27. კოლმეურნეობათა წევრებისათვის კადასახადის კადასადის ვადები დადგენილია იმავე საფუძველზე, როგორც ინდივიდუალური მეურნეობებისათვის (მუხ. 73-74).

### კ ა ტ ი IV.

#### ინდივიდუალური შრომითი მუშაობების დაბეჭვა.

##### ა. ზოგადი დებულებანი.

28. კადასახადი გამოიანგარიშება თვითელი მეურნეობისათვის იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც იგი იღებს შემდეგი წყაროებიდან:

- ა) მემინდვრეობა;
- ბ) მეველეობა;
- გ) ყოველგვარი ოთფეხი საქონელი, ღორის გარდა;
- დ) სოფლის მეურნეობის შემდეგი სპეციალური დარგები: მებოსტნეობა, მებაღეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მებაწეობა, მეთამბაქოობა, ბრინჯი, მანდარინის ნარგავი, დაუნის ფოთოლი და სხე;
- ე) არასამიწათმოქმედო საშოვარი (სამუშაო ხელფასი, შინამრეწველობა, ხელოსნობა და სხვა საშოვარი.)

**შენიშვნა 1.** მეთევზეობის შემოსავალი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კადასახადით დაიბეგრება მხოლოდ იმ სათევზაო მეურნეობაში, რომელიც დაპერილ თევზს არ აბარებს კონტრაქტაციით სხელმწიფო სათევზაო მრეწველობის საწარმოს ან კოოპერატიულ ორგანიზაციას.

**შენიშვნა 2.** მეტრინველეობისა, შინაური კურდღლის მოშენებისა და მებაბრეშუმეობის შემოსავალი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კადასახადით არ დაიბეგრება.

29. ის წყარო, რომლის შემოსავალიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კადასახადით იბეგრება, არავითარი სხვა კადასახადით არ დაიბეგრება, გარდა:

ა) სარეწაო კადასახადისა იმ საწარმოს და რეწაობისათვის, რომელიც იბეგრება ბრუნვის პროცენტული შეფარდებით;

ბ) წყლის გამოსალბებისა—სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში;

გ) საბილეთო გამოსალბებისა—თევზის სარეწაო ქერის უფლებებისათვის. იმ მიწის ნაკვეთზე, რომლის შემოსავალიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კადასახადით იბეგრება, აგრეთვე იმ აღნაგვიან ნაკვეთზე, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო სარგებლობასთან, რენტა კადასადივინებულ არ იქნება.

ის შენობა, რომელიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრო მეურნეობის შედგენილობაში შედის, განთავისუფლდება შენობის ადგილობრივი გადასახადისაგან.

30. ის მოქალაქე, რომელიც სოფლის მეურნეობას საქალაქო მიწაზე ეწევა, გადაიხდის თავის შემოსავალზე ან ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს ან საშემოსავლო გადასახადს.

31. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა არ გატარდება შემდეგ ქალაქებში: ტფილისსა, ბათუმსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, ბორჯომსა, ვაგრასა, სიღნაღსა, თელავსა და ჭიათურაში.

32. ყველა დარჩენ ქალაქში, გარდა 31 მუხლით გათვალისწინებული ქალაქებისა, და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ის მოქალაქე, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევიან, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრებიან როგორც სოფლის მეურნეობის შემოსავლის, ისე არასამიწათმოქმედო საშოვარის მიხედვით.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრებიან და სათანადო შემთხვევაში დაიბეგრებიან სხვა გადასახადით შემდეგი კატეგორიის მეურნეობანი, რომელთაც არა აქვთ მიჩენილი სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის გამოსადეგი მიწა (გარდა საეზოვე ნაკვეთისა):

ა) მეურნეობა, რომელსაც აქვს სამომზარებლო ხასიათის ბოსტანი, ხილის ბაღი, ვენახი და სხვ. არა უმეტეს 0,05 ჰექტარისა და ნორმატიული შემოსავალი სოფლის მეურნეობის სხვა ძირითადი დარგებიდან არა უმეტეს 30 მანეთისა;

ბ) მეურნეობა, რომელსაც აქვს შემოსავალი სოფლის მეურნეობის მეორე ხარისხის დარგებიდან (მეფუტკრეობა და სხვ.).

33. ის მოქალაქე, რომელიც ქალაქში სცხოვრობს, ხოლო ამავე დროს სოფლის მეურნეობა ქალაქს გარეშე აქვს, ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს გადაიხდის იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც იგი სოფლად მიიღებს, და სამუშაო ხელფასის მიხედვით. დანარჩენი საქალაქო შემოსავლისათვის, სამუშაო ხელფასის გარდა, იგი დაიბეგრება სხვა გადასახადებით მთლად ქალაქის მოსახლეობის თანაბრად.

34. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება სამუშაო ხელფასი:

ა) სასოფლო-სამეურნეო მუშებისა (კვალიფიციური მუშებს გარდა);

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და სასოფლო საბჭოს წევრისა და აგრეთვე სოფლად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას მდებარე და საერთო-სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ყველა დაწესებულების მუშა-მოსამსახურისა;

გ) გლზეთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტში და მის შესაბამის ორგანიზაციაში, აგრეთვე სოფლის პირველი საფეხურის კოოპერატივში არჩევით მომუშავე პირისა;

დ) დასახლებული ადგილის კოოპერატიული ორგანიზატორისა;

ე) სარაიონო, საუბნო და კოლმეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა და კოოპერატიულ ორგანიზაციაში მომუშავე აგრონომისა და ზოოტექნიკისა, მათი თანაშემწეებისა და კონტროლ-ასისტენტისა;

ვ) ტყის გამვისა, მისი თანაშემწისა, მეტყვეისა, ტყის მცველისა და ტყის დარაჯისა, აგრეთვე კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირის იმ მუშა-მოსამსახურისა, რომელიც სოფლად ან ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას მუშაობს.

ამის გარდა, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაი-ბეგრება:

1) სასყიდელი შრომის ბეგარის წესით მუშაობისათვის;

2) ლიტერატურული საშოვარი;

3) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურისა, მილიციის სამწყობრო და საადმინისტრაციო შედგენილობის მომუშავეისა და სისხლის საქ-მეთა სამძებროს აქტიური და ადმინისტრაციული შედგენილობის ყოველგვარი კმაყოფა;

4) სახელმწიფო დაწესებულებისაგან მიღებული პენსია.

ამა მუხლში ჩამოთვლილი შემოსავალი სათანადო შემთხვევაში დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით კერძო პირთა საშემოსავლო გადასახადის დებუ-ლებების თანახმად.

**შენიშვნა.** სოფლის პირველი საფეხურის სარეწაო კოოპერატივში არჩეულ თანამდებობაზე მუშაობისათვის მიღებული სამუშაო ხელფასი გან-თავისუფლდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისა-გან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არჩეულ პირს ამა იმ კოოპერატივში არა აქვს სხვა შემოსავალი გარდა იმ სამუშაო ხელფასისა, რასაც იგი საარ-ჩევნო თანამდებობით იღებს.

ბ. ინდივიდუალურა შრომითა მეურნეობის დასახეური შემოსავლის გამოსაგარიშება.

### შემოსავლიანობის ნორმები.

35. შრომითი მეურნეობის შემინდვრეობისა, მეველეობისა, მესაჭონლეო-ბისა, მებოსტნეობისა, მებალჩეობისა, მებალეობისა, მევენახეობისა, მეთამბაქოო-ბისა და სხვა სპეციალური დარგების შემოსავალი გამოინაგარიშება შემოსავლია-ნობის ნორმების მიხედვით.

36. ატონომიური რესპუბლიკებისა, ატონომიური ოლქისა და რაიონე-ბისათვის დაწესებულია შემოსავლიანობის შემდეგი საშუალო ნორმები მანე-თობით:



პროცენტუალები-ბაბები  402040 3402020	ერთი ჰექტარი მიწის შემოსავლობა										ერთი ჰექტარი სუფ. წყლ.					ერთი ჰექტარი მიწის წყლ.		
	მ	კ	დ	ე	ვ	გ	დ	ე	ვ	გ	ზ	ა	ბ	გ	დ	ე	მეტრი	
																	მ	კ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
ბუჩქნარის . . . . .	52	11	336	383	253		267					18	16	18	6	3	8	5
ნორჩხლის . . . . .	72	34	336	383	253		267					15	16	18	6	3	8	5
მიწისთვის . . . . .	42	18	336	383	253		267					20	16	18	6	3	8	5
წიფის . . . . .	40	17	336	383	253		370					16	16	18	6	3	8	5
ღვინის . . . . .	67	18	336	436	253		267					17	16	18	6	3	8	5
ვახუშტის . . . . .	57	15	336	383	253		267					16	16	18	6	3	8	5
მეხის . . . . .	54	19	336	383	253		267					16	16	18	6	3	8	5
ხევის . . . . .	40	12	336	—	253		267					13	16	18	6	3	8	5
ქაშა-თაფლის . . . . .	52	13	336	383	253		267					12	16	18	6	3	8	5
აბულა-მანგლის . . . . .	52	22	336	383	253		267					13	16	18	6	3	8	5
ფურის . . . . .	50	12	336	383	253		267					13	16	18	6	3	8	5
თაფის . . . . .	48	19	301	377	293		282					15	17	19	6	3	8	5
სოფლის . . . . .	60	19	301	427	199	ა	242					15	17	19	6	3	8	5
ფურის . . . . .	54	19	301	511	213	ბ	242					15	17	19	6	3	8	5
ლაფის . . . . .	66	19	301	230	221	გ	242					15	17	19	6	3	8	5
ვახუშტის . . . . .	58	19	301	452	261	დ	242					15	17	19	6	3	8	5
ვახის . . . . .	55	16	370	325	222	ე	242					12	15	16	6	8	8	5
ნორჩხლის . . . . .	53	16	264	317	232	ვ	242					16	15	16	6	3	8	5
კახის . . . . .	53	16	310	339	222	ზ	242					11	15	16	6	3	8	5
სტაფისის . . . . .	53	16	264	317	222	ა	242					11	15	16	6	3	8	5
თაფისის . . . . .	56	20	344	—	184	ბ	119					16	18	18	6	3	8	5
ბოცის . . . . .	50	20	—	—	—	გ	—					20	18	18	6	3	8	5



საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ილიქის	50	20	353	—	190	141	—	—	—	—	—	15	18	17	6	3	8
პილიქის	50	20	353	—	190	141	—	—	—	—	—	15	12	17	6	3	8
ტოღოლის	50	20	353	—	190	141	—	—	—	—	—	15	12	17	6	3	8
ქუთაისის	51	10	372	269	264	242	—	—	—	—	—	11	12	16	6	1,80	8
ზესტაყონის	51	10	239	520	264	242	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
სამტრედიის	69	10	372	158	264	242	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
ქაბულეთის	36	10	238	253	264	242	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
ამბროლაურის	48	10	238	253	264	—	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
ზაგვასის	49	10	238	900	264	—	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
ჯანის	61	10	313	348	264	—	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
ოქციანის	27	10	313	187	264	—	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
მწის	48	10	334	190	264	—	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
მარის	50	10	313	490	264	—	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
ქ. სენაკის	26	10	238	111	264	—	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
კიკელი	46	10	282	269	264	—	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
ხობიჯორის	36	10	313	348	264	—	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
ზონის	62	10	238	158	264	—	—	—	—	—	—	11	15	16	6	1,80	8
სენაკის და ფოთის	52	10	241	239	104	282	—	—	—	—	—	11	15	14	6	1,80	8
მარტვილის	48	10	241	212	138	282	—	—	—	—	—	11	15	14	6	1,80	8
პანის	52	10	241	212	138	282	—	—	—	—	—	11	15	14	6	1,80	8
ზეგვილის	50	10	267	237	153	282	—	—	—	—	—	11	15	15	6	1,80	8
მთწამლის	52	10	267	237	153	282	—	—	—	—	—	11	15	15	6	1,80	8
ქაბულეთის	31	10	267	237	153	282	—	—	—	—	—	11	15	15	6	1,80	8
ზონის	63	10	267	237	153	282	—	—	—	—	—	11	15	15	6	1,80	8
მხედველის	42	10	165	212	147	249	424	—	—	—	—	11	14	14	6	1,80	8
ფანავის	42	10	165	212	147	249	424	—	—	—	—	11	14	14	6	1,80	8
ხობიჯორის	42	10	165	212	147	249	424	—	—	—	—	11	14	14	6	1,80	8
სარბეთის	50	15	344	264	153	178	—	—	—	—	—	12	10	16	6	3	8
აჭარაელის	42	10	189	174	135	249	568	—	—	—	—	11	14	14	6	1,80	8
სენაკის	52	16	207	190	238	393	568	—	—	—	—	11	15	15	6	1,80	8
	52	18	310	380	290	372	560					14,6	15	17	6	3	8

37. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმებს (კალკულური რაიონებისა, სასოფლო საბჭოების ტერიტორიისა და სოფლებისათვის).

ამასთანავე თვითეულ ავტონომიურ რესპუბლიკასა, ავტონომიურ ოლქსა და რაიონში უცვლელად უნდა დარჩეს სოფლის მეურნეობის თვითეული დარგის დასაბეგრე შემოსავლის ის თანხა, რაც განსაზღვრულია მთლიანად რესპუბლიკისა, ოლქისა თუ რაიონისათვის დადგენილი ნორმების მიხედვით.

38. ბამბისათვის გამოსადეგი და მარცვლელი კულტურით დათესილი სარწყავი მიწის შემოსავლიანობის ნორმები ყველა მეურნეობისათვის გადიდებულ უნდა იქნეს 15%-ით.

39. 36—38 მუხლების წესით დადგენილი ნორმები შემოსავლიანობისა მათი გამოჭეკვლების შემდეგ არ შეიძლება შეიცვალოს სავადასახადო წლის განმავლობაში.

#### მემინდვრობის შემოსავლის გამოანგარიშება.

40. მემინდვრობის შემოსავალი განისაზღვრება ნათესის მიხედვით, ე. ი. იმისდამიხედვით, თუ მეურნეობაში ნამდვილად რამდენი მიწაა დათესილი.

41. ნათეს ფართობად ჩაითვლება აგრეთვე სპეციალური კულტურები, რომლებსთვისაც შემოსავლიანობის განსაკუთრებული ნორმები დაწესებული არ არის.

42. იმ მეურნეობისათვის, რომელმაც სათესი ფართობი შეამცირა არაპატივსაღები მიზეზით, მემინდვრობის შემოსავალი გამოიანგარიშება წინა წელს დათესილი ფართობის მიხედვით.

#### მეველეობის შემოსავლის გამოანგარიშება.

43. მეველეობის შემოსავლის გამოანგარიშებისათვის სათვალავში მიიღება მეურნეობაში ქონებული ყველა სათიბი, როგორც წყალმისაგდები, ისე უამისო, დაბლობი, მშრალმინდვრიანი და ტყიანი.

#### ოთხეფხი საქონლის შამოსავლის გამოანგარიშება.

44. ოთხეფხი საქონლის შემოსავლის გამოანგარიშებისათვის სათვალავში მიიღება:

- ა) ცხენი, ხარი, კამეზი, ვირი, ჯორი და აქლემი ოთხ წლისაზე მეტი ხნისა;
- ბ) მოზერი 3 წლისაზე მეტი ხნისა;
- გ) ძროხა—პირველი მოგების შემდეგ და უშობელი 3 წლისაზე მეტი ხნისა;
- დ) ნახამთრი ცხვარი და თხა.

ოთხეფხი საქონლის წლოვანება გამოიანგარიშება 1931 წლის მაისის 1-სათვის.

სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების შემოსავლის გამოანგარიშება.

45. მებოსტნეობისა, მებაღეობისა, მევენახეობისა, მებაღეობისა, მეთამბაქობისა და სხვ. შემოსავლის გამოანგარიშებისათვის სათვალავში მიიღება ის ფართობი, რაც მეურნეობაში ამ კულტურებს უჭირავს. ამასთანავე მრავალწლიან ნარგავთა ფართობი დაიბეგრება ნაყოფის სხმოიარობის პირველი წლიდან.

არასამიწათმოქმედო შემოსავლის გამოანგარიშება.

46. არასამიწათმოქმედო საშოგარი გამოანგარიშება მთელი დროისათვის 1930 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე.

47. სამუშაო ხელფასის შემოსავლის გამოანგარიშებისათვის მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის შედგენილობაში შეიტანება:

- ა) იმ მომუშავეის სამუშაო ხელფასი, რომელიც მუდმივ თავის სასოფლო მეურნეობაში სცხოვრობს—15%-ის რაოდენობით;
- ბ) იმ მომუშავეის სამუშაო ხელფასი, რომელიც მუდმივ თავისი სასოფლო მეურნეობის გარეშე სცხოვრობს—10%-ის რაოდენობით;
- გ) გარე-სარეწაოზე გასვლით მიღებული გაჭირავებული შრომის სასყიდელი—20%-ის რაოდენობით.

**შენიშვნა.** ის მოქალაქე, რომელიც სამუშაო ხელფასს და აგრეთვე გარე-სარეწაოზე გასვლით გაჭირავებული შრომის სასყიდელს იღებს, წარადგენს სასოფლო საბჭოში, არა უგვიანეს 1931 წ. მაისის 1-ისა, თავისი სამუშაო ადგილის ცნობას 1930 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე მის მიერ მიღებული სამუშაო ხელფასის რაოდენობის შესახებ.

48. შინამრეწველობისა, ხელოსნობისა და სხვა არასამიწათმოქმედო შემოსავლის (გარდა სამუშაო ხელფასისა) რაოდენობას თვითღებული მეურნეობისათვის განსაზღვრავს სასოფლო-საგადასახადო კომისია.

ამასთანავე, საერთო შემოსავლიდან გამოირიცხება სარეწაოს ყველა ძირითადი საწარმოო ხარჯი: ნედლეულისა, ნახევარფაბრიკატისა, სათბობისა, დაჭირავებული მუშების ხელფასი და სხვა.

ამრიგად განსაზღვრული შემოსავალი ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის შედგენილობაში შემდეგ საფუძველზე:

- ა) გარე-სარეწაოზე გაჭირავებული შრომით მიღებული შემოსავალი ჩაირიცხება 40%-ის რაოდენობით;
- ბ) შინამრეწველობისა, ხელოსნობისა და სხვა არასამიწათმოქმედო შემოსავალი ჩაირიცხება 50%-ის რაოდენობით.
- გ) არაშრომითი ხსნათის შემოსავალი ჩაირიცხება 100%-ის რაოდენობით.

კოოპერატიულ შინამრეწველთა და ხელოსანთათვის, რომელნიც დაჭირავებულ შრომას არ იყენებენ, ამრიგად გამოანგარიშებული შემოსავალი შემცირდება ერთი მეოთხედით. ეს შეღავათი ვრცელდება მხოლოდ ისეთ შინამრე-



წველზე და ხელოსანზე, რომელიც კოოპერატიულ სისტემაში შემავალი აწმანავობის წევრია.

კერძო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავლის აღნუსხვა იმ მეურნეობებში, რომელთაც არ შეასრულებს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი და საგვეგმო დამზადებათა დავალებანი.

49. ინდრეიდულური მეურნეობის შემოსავალი, მიღებული კერძო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით, ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში, უკეთეს პროდუქტები გაიყიდა ისეთ ფასად, რაც აღემატება სახელმწიფო და კოოპერატიულ დამმზადებელი ორგანიზაციების ფასს.

აღნიშნული შემოსავალი გამოიანგარიშება მთელი დროისათვის—1930 წ. მოსავლის აკრების დასაწყისიდან 1931 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის შემოსავლის აღნუსხვამდე.

არ დაიბეგრება კერძო ბაზარზე პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი:

ა) იმ პროდუქტების გაყიდვით, რომელთა დარგშიც მეურნეობამ აღნუსხვის დროისათვის უკვე შეასრულა თავისი ვალდებულება კონტრაქტაციისა და საგვეგმო დავალებების მიხედვით;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც მეურნეობის აღნიშნული შემოსავალი 75 მან. არ აღემატება.

50. მეურნეობის მიერ კერძო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავლის რაოდენობას განსაზღვრავს სასოფლო საგადასახადო კომისია.

სასოფლო საგადასახადო კომისიის მიერ გამოანგარიშებულ შემოსავლის რაოდენობას დამტკიცებს სარაიონო საგადასახადო კომისია.

51. კერძო ბაზარზე პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი ჩაირიცხება დასაბეგრ შემოსავალში ისეთი რაოდენობით, რაც არ უნდა აღემატებოდეს მეურნეობის დანარჩენი დასაბეგრი შემოსავლის 50%-ს.

გ. გადასახადის გამოანგარიშება ინდივიდუალურა შრომითა მუერნეობებისათვის.

52. გადასახადის გამოანგარიშებისათვის მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხას გამოაკლდება 20 მან. თვითველ მკამელზე, ხოლო ნაშთი დაიბეგრება შემდეგი ტაბულის მიხედვით:

პირველ 25 მან.	გადახდვიენებულ იქნება . . .	4 კაპ.	თითო მან.
25 მან. მეტი თანხის.	100 მ-მდე	"	7 " " "
100 " " "	150 " " "	"	10 " " "
150 " " "	200 " " "	"	15 " " "
200 " " "	250 " " "	"	20 " " "
250 " " "	300 " " "	"	22 " " "
300 " " "	400 " " "	"	25 " " "
400 " " "	600 " " "	"	28 " " "
600 " " "	" " "	"	30 " " "



დ. ინდივიდუალურა შრომათა მეურნეობების შეღავათება.

### მცირეძალოვან მეურნეობათა შეღავათები.

53. მცირეძალოვანი მეურნეობა განთავისუფლდება გადასახადისაგან სრულიად ან ნაწილობრივ სასოფლო საგადასახადო კომისიის დადგენილებით.

ამ მიზნით საგადასახადო აღნუსხვის ჩატარებასთან ერთად, სასოფლო საგადასახადო კომისიები შეადგენენ ღარიბ მეურნეობათა სიას. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყოფ. წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების მცირეძალოვან მეურნეობათა განთავისუფლებას.

აღნიშნულ სიებს განიხილავს და შეამოწმებს ღარიბებისა, კოლმეურნეებისა და საშუალო გლეხთა აქტივის საერთო კრება და ამის შემდეგ სიები წარედგინება დასამტკიცებლად სარაიონო საგადასახადო კომისიას.

ყველა მეურნეობა, სადაც შეწერილი გადასახადი ერთ მანეთს არ აღემატება, გადასახადისაგან განთავისუფლდება საკითხის საგადასახადო კომისიაში განუხილველად.

**ინდივიდუალური შრომითი მეურნეობის შეღავათები სათესი ფართობის გადიდების მიზნით.**

54. სათესი ფართობის გადიდების მიზნით ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებს ეძლევათ შემდეგი შეღავათები;

ა) გადასახადისაგან განთავისუფლდება ნათესი ფართობის მთელი ნამატი 1930 წელთან შედარებით;

მებაშბეობის არც ერთ რაიონში სარწყავ მიწაზე მარცვლეულის ნათესი ფართობის ნამატი გადასახადისაგან არ განთავისუფლდება.

ბ) დაბეგვრისაგან განთავისუფლება 1930 და 1931 წ.წ. ახლად მოხვლი დიდხანს უხმარი მიწა და გაუტეხავი მიწა, უკეთეს ეს მოხვლი მიწა უწყებულ მეურნეობაში შეადგენს საერთო ნათესი ფართობის ნამატს 1930 წელთან შედარებით.

**ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების შეღავათები ტექნიკური კულტურების განვითარების მიზნით.**

55. შაქრის კარხლის ნათესი და ჩაის პლანტაციები სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან.

56. ბამბით დათესილი ფართობი დაიბეგრება მემინდვრობის შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით.

ბამბის ნათესი ბოგარულ (ურწყავ) მიწაზე ყველა სარწყავ სამიწათმოქმედო რაიონში და ყველა ახალ რაიონში განთავისუფლდება გადასახადისაგან.

ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების შეღავათები მეცხოველეობისა და მერძეული მეურნეობის განვითარების მიზნით.

57. რძის პროდუქტების სამრეწველო წარმოების ქვემოაღნიშნულ რაიონებში ძროხისა და ხარის შემოსავლიანობის ნორმები შემცირებულია ერთ-ორად ყველა იმ მეურნეობისათვის, რომელმაც დასდვა საკონტრაქტაციო ხელშეკრულება მეცხოველეობის პროდუქციის ჩაბარების შესახებ.

რაიონები: წალკის, ბაშკინეთის, ხევის, დუშეთის—ფშავ-ხევსურეთი, მღეთი, ფასანაური, გუდამაყარი; ერწო-თიანეთის; ბორჩალოს რაიონში—ტრაუბენბერგი; სიღნაღის რაიონში—ზემო და ქვემო ქედი, არზილას-კალო, წითელ-წყარო; თელავის რაიონში—მთა-თუშეთი; გურჯაანის რაიონში—იორა-მულანლო; გარეკახეთის რაიონში—აჭმბური (მალხაზოვკა), სართიქალა, გომბორი; ბორჯომის რაიონში—ბაკურიანი, ციხისჯვარი, გუჯარეთი; ახალქალაქის და ბოგდანოვის რაიონები; ონის—რაიონში მრავალძალა, გობი, ჭიორა; ზუგდიდის, ლანჩხუთის და სხვე რაიონებში—ყოფ. „მეჯოგის“ მოქმედების რაიონები; სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—კლდარო, როკა, ჯავა, კემულთო, ლეხურა, მონასტერი და ბელოთი; აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში—ხულოს რაიონი; აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში—პსხუ და აეარა.

58. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდება ძროხისა, ხარისა და ცხენის ნამატი 1930 წელთან შედარებით.

59. დაბეგრვისაგან განთავისუფლდება კარაკლლის ჯიშის ცხვარი და მისი მეტისები.

60. მეცხენეობის ამხანაგობაში და ინდივიდუალურ მეურნეობაში, რომელიც სამხედრო-სარემონტო ცხენის მოწოდებას მისდევს მისთვის მიჩენილ მიწის ნაკვეთზე ჯოგობით და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოებთან დადებული სატიბო ხელშეკრულების თანახმად, პირველ ოთხ წელიწადს, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, განთავისუფლდება გადასახადისაგან: ა) საადგილ-მამულო ორგანოების ჯიშისანი საქონლის დაეთარში შეტანილი ცხენის ჯოგის შედგენილობა და აგრეთვე მონაშენი, რაც უნდა ჩაბარდეს სამხედრო უწყებას ან რაც სანაშენო ჯოგში უნდა დარჩეს; ბ) სათიბი და საძოვარი სამი დესატინის რაოდენობით თითო ცხენზე (ულაყი, ფაშატი და ერთ წლისაზე მეტი ხნის კვიცი).

ორდენებით დაჯილდოვებულ პირთა, შრომის გმირთა, მ/გ. წითელდარშის სამხედრო მსახურთა (მათ რიცხვში გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯარისა და საბადრაგო ჯარის სამხედრო მსახურთა), ინვალიდთა და მილიციისა, სისხლის საკმეთა სამძებროს და სხვა გამხედროებული დაცვის სამსახურში მყოფ პირთა შეღავათები.

61. ქვემო-აღნიშნულ ტაბულაში გათვალისწინებული შეღავათები ეძლევა იმ მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედის:

ა) სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და საჭართველოს სსრ-ის ერთი ან რამდენიმე ორდენით ან და საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოვებული პირი და აგრეთვე შრომის გმირი;



ბ) საკადრო სამერიგო და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც ვადიან (მუდმივ) სამსახურშია ან ვადაზე ზედმეტ სამსახურში, 1931 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური—საკადრო და რეზერვში მყოფი;

დ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის პირი, რომელიც გრძელვადიან შევებულებაშია, ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია და სათადარიგოდ იმყოფება და რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ შეკრებაზე ან ინსტრუქტორად წვევამდებამდე და ჯარსგარეშე მომზადების ჩასატარებლად;

ე) უმცროსი საკომანდო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც გრძელვადიანი შევებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში;

ვ) ყოფილი წითელგვარდიელი და წითელპარტიზანი;

ზ) მილიციის საადმინისტრაციო და სამწყობრო შედგენილობის პირი და აგრეთვე სისხლის საქმეთა სამმებროს აქტიური და აღმინისტრაციული შედგენილობის პირი;

თ) გამხედროებული დაცვის სამსახურში (მათ შორის—გამხედროებული სახანძრო დაცვის სამსახურში) მყოფი პირი;

ი) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთვნება.

**შეღავათების ტაბულა.**

მიეცემა შეღავათი გადასახადის შემდეგი %-ის რაოდენობით:

როდესაც მეურნეობისათვის გამოანგარიშებული გადასახადის თანხა არის	უკეთეს მეურ. არის სხვა შრომისუნარ. მამაკაცი	უკეთეს მეურ. არ არის სხვ. შრომისუნარ. მამაკაცი
10 მანეთამდე . . . . .	100	100
10 მან. მეტი 15 მან. . . . .	75	90
15 " " 20 " . . . . .	50	75
20 " " 30 " . . . . .	35	50
30 " " 50 " . . . . .	25	35
50 " " 75 " . . . . .	15	25
75 " " 100 " . . . . .	5	10
100 " " . . . . .	5	5

ყველა აღნიშნული პირი ჩაირიცხება მეურნეობის მკამელთა შედგენილობაში.

62. უკეთეს მეურნეობის შედგენილობაში შედის ტერიტორიალური ნაწილის ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახური, გაწვეული სამთვიან სწავლებაზე სამსახურის პირველ წელიწადს ან სასწავლო შეკრებაზე საკუთარი სამწყობრო ცხენით,—ეს ცხენი გადასახადით არ დაიბეგრება.

63. მეურნეობას, სადაც არის სამხედრო მსახური და სათადარიგო ნაშენ-დროვალდებული პირი, რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ სწავლებასზე, და შეკრებაზე, ვადა გადასახადის იმ ნაწილის გადახდასა, რაც შეტანილ უნდა იქნეს სწავლების თუ შეკრების დროის განმავლობაში, გადაედება ერთი თვით ამ პირის დაბრუნების დღიდან. საურავი ამ დროისათვის დარიცხულ არ უნდა იქნეს.

#### მემლაროეთა შეღავათები.

64. გადასახადისაგან განთავისუფლდება იმ პირის მეურნეობა, რომელიც დაკონტრაქტებულია სამიწისქვეშო მუშაობისათვის ქვანახშირის მრეწველობაში ან რომელიც თითონ მიემგზავრება ამ მუშაობას ვადით არა ნაკლებ ერთი წლისა.

#### გადასახლებულთა შეღავათები.

65. ინდივიდუალურ მეურნეობათ, რომელნიც 1930 წლის აპრილის 1-მდე გადასახლდნენ ახალ ადგილას გადასახლების, წესების თანახმად ეძლევათ შემდეგი შეღავათი:

ა) მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა მიწის ამოძირკვა და სხვა სამელიორაციო მუშაობა კულტურული მიწების განმზღდებისათვის, განთავისუფლდება გადასახადისაგან 5 წლის განმავლობაში დაბინავეების შემდეგ;

ბ) მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა გაუტეხავი მიწის დამუშავება, განთავისუფლდება გადასახადისაგან სამი წლის განმავლობაში დაბინავეების შემდეგ.

1930 წლის აპრილის 1-ის შემდეგ გადასახლებულ ინდივიდუალურ მეურნეობას შეღავათი მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს იგი გადასახლდა იმ რაიონებში, რომელთა სისაც შეადგენს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად. იმავე წესით განისაზღვრება ამ მეურნეობათა შეღავათების მოცულობა.

66. უკეთეს გადასახლებულ მეურნეობას სტიქიური უბედურება დააზარალებს, ვადა, რომლის განმავლობაშიც მას შეღავათი ეძლევა, გადაიდდება ერთი წლით.

67. გადასახლებულთათვის დაწესებული შეღავათი გავრცელდება აგრეთვე:

ა) ემიგრანტებსა და რეემიგრანტებს, რომელნიც თავიანთ შრომას სოფლის მეურნეობაში იყენებენ; ბ) ბოშებზე, რომელნიც იწყებენ მობინადრე შრომითს ცხოვრებას, უკეთეს მათ მიეცემათ მიწა სოფლად.

#### სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ მეურნეობათა შეღავათები.

68. სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობა განთავისუფლდება გადასახადისაგან სასაფლო საგადასახადო კომისიის მიერ სრულიად ან ნაწილობრივ—მეურნეობისათვის მიყენებული ზიანისა და მეურნეობის ძალოვნობის მიხედვით.

### კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულთა შეღავათები.

69. შრომითი მეურნეობა, უკეთეს მის შედგენილობაში შედის იმ პირის ქვრივი ან არასრულწლოვანი შვილი, რომელიც კულაკების მიერ მოკლულ იქნა კულაკობის წინააღმდეგ გამოსვლისათვის, განთავისუფლდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ხუთი წლის განმავლობაში აღნიშნული პირის სიკვდილის შემდეგ, თუნდაც მეურნეობაში შრომისუნარიანი წევრი იყოს.

### სხვა შეღავათები.

70. საგლეხო შრომითი მეურნეობა, რომელიც ეკუთვნის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შესრულებასთან დაკავშირებით მოკლული ტყის მომუშავეს ქვრივსა და არასრულწლოვან შვილებს, განთავისუფლდება გადასახადისაგან ხუთი წლის განმავლობაში აღნიშნული მომუშავეს სიკვდილის შემდეგ.

71. იმ პირთა მეურნეობა, რომელთაც იკისრეს ობლებისა და მათი ქონების მეურვეობა და მზრუნველობა, განთავისუფლდება მეურვეობაში მყოფ პირთა ხვედრი მიწის ნაკვეთებისა და მათი კუთვნილი ოთხფეხი საქონლის შემოსავლის გადასახადისაგან—სამი წლის განმავლობაში მეურვეობის და მზრუნველობის დაწესების დროიდან.

ობოლი ჩაირიცხება მეურვის ან მზრუნველის მეურნეობის მჭამელთა რიცხვში.

ეს შეღავათი შეფარდებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეურვე ან მზრუნველი ობოლთან ერთად სცხოვრობს და მათი მეურნეობაც ერთად სწარმოებს.

72. უკეთეს გლეხის ოჯახი აიყვანს საბავშვო სახლის მოწაფეს სასოფლო-სამეურნეო შრომისათვის მოსამზადებლად, დამატებითი მიწა, რაც მას ამ მოწაფეზე მიეცემა, განთავისუფლდება გადასახადისაგან სამი წლის განმავლობაში მიწის მიწინის დროიდან.

### ე. გადასახადის შეტანის ვაჯება

73. დაწესებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის შემდეგი ვადები ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქისა და რაიონებისათვის:

- 1-ლი ვადა—ოქტომბრის 1-მდე . . . 25% შენაწერი გადასახადისა;
- მე-2 ვადა—ნოემბრის 15-მდე . . . 45% შენაწერი გადასახადისა;
- მე-3 ვადა—დეკემბრის 15-მდე . . . 30% შენაწერი გადასახადისა.

74. თვითეული რაიონისათვის დაწესებული ვადა გამოცხადდება სასოფლო-სამეურნეო შრომისათვის, შეიტანება საგადასახადო ფურცელში და მთელი საგადასახადო წლის განმავლობაში უცვლელი დარჩება.

### კულაკურ მეურნეობათა დაბეგვრა.

75. ყველა კულაკური მეურნეობა დაიბეგრება მისი ნამდვილი შემოსავლი-  
ანობის მიხედვით ინდივიდუალური წესით და არა ნორმების მიხედვით.

აგრონომიური რესტრუქციებისა და აგრონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა მტკიცეთ უნდა ადგენონ თვალყური, რათა საშუალო გლეხთა მეურნეობანი არავი-  
თარ შემთხვევაში არ იქნენ დაბეგრილი ინდივიდუალური წესით. აღნიშნულის დარღვევისათვის დამნაშავე მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში აღმინისტრა-  
ტიული ან სასამართლოს წესით.

76. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალური  
წესით დაიბეგრება შემდეგი ნიშნების საფუძველზე:

ა) უკეთეს მეურნეობაში სისტემატიურად გამოიყენება დაქირავებული შრომა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსათვის ან საშინამრეწველო რეწაობაში და საწარ-  
მოში, ისეთი შემთხვევის გამოკლებით, როდესაც დაქირავებული შრომის გამო-  
ყენება გამოწვეულია ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის განსაკუთრე-  
ბული ხასიათით და იგი არ აღემატება მუშა-ძალის დაქირავების ზღვრულ რა-  
ოდენობას;

მუშა-ძალის დაქირავების ზღვრული რაოდენობა, რაც არ იწვევს მეურ-  
ნეობის ინდივიდუალური წესით დაბეგვრას, დაწესებულ იქნეს ერთი მეურნეო-  
ბისათვის წელიწადში:

1) სამარცვლეულო მეურნეობისათვის აღმოსავლეთ საქართველოში 50  
დღემდე, ხოლო დასავლეთ საქართველოში 35 დღემდე;

2) საბალე და საბოსტნე მეურნეობისათვის—75 დღემდე;

3) საჩაი მეურნეობისათვის—100 დღემდე;

4) საბამბე მეურნეობისათვის—150 დღემდე;

5) სათამბაქო მეურნეობისათვის—200 დღემდე;

6) მებრინჯეობის მეურნეობისათვის, მებაბბეობის რაიონების გარეშე—50  
დღემდე;

7) სავენახე მეურნეობისათვის ძირითად მევენახეობის რაიონებში—100  
დღემდე;

სავენახე მეურნეობისათვის სხვა რაიონებში—75 დღემდე.

**შენიშვნა.** მებრინჯეობის მეურნეობის მიერ მებაბბეობის რაიონში  
მუშა-ძალის დაქირავება ჩაითვლება ინდივიდუალური წესით დაბეგვრის  
ნიშნად იმისდამოუხებლად, თუ რა რაოდენობის მუშა-ძალა დაქირავე-  
ბული.

8) სამესაკონლეო მეურნეობისათვის — ერთი მწყემსი ან ერთი მწყემსის  
თანაშემწე.

„ა“ პუნქტის შენიშვნა: უკეთეს მეურნეობას შრომისუნარიანი მამაკაცი  
არა ჰყავს (ქერივის, ობლის, ინვლიდის, მოსწავლის მეურნეობა) ან უკეთეს

შრომისუნარიანი მამაკაცი მიძიმე ავადმყოფია, წითელ არმიაშია, სამთო მუშა ან წასულია გარეთ საამშენებლო მუშაობაზე, — ერთი მუდმივი მუშის ყოლა და დაქირავებული შრომის გამოყენება სასეზონო დღეებში ზემოაღნიშნულ ნორმებზე მეტი რაოდენობით, ხოლო არა უმეტეს ურთი მუდმივი მუშის სამუშაო დღეების რიცხვისა, — არ ჩაითვლება ისეთ ნიშნად, რომლის გამოც ასეთი მეურნეობა ინდივიდუალური წესით უნდა დაიბეგროს.

ბ) უკეთუ მეურნეობას აქვს ისეთი წისქვილი, ზეთის სახდელი ან კარაქის სადღეები, ბურღულის საფეკელი, ფეტვის საფეკელი, ბოჭკოს საჩეჩელი, მატყლის საპნები, სასრესი, კარტოფილისა, ხილისა და ბოსტნეულის სახმობ-საშრობი და საცხეველი საწარმო, ნორმული ქარხანა ან სხვა რამ სამრეწველო საწარმო, რომლისათვისაც გამოიყენება მექანიკური ძრავი, მათი შემოსავლის მიუხედავად;

უკეთუ მეურნეობას აქვს ამგვარი საწარმო, რომელიც მოქმედობს ქარის თუ წყლის ძალით, იმ პირობით, რომ წისქვილის შემოსავალი აღემატებოდეს 150 მანეთს წელიწადში, ხოლო დანარჩენ საწარმოთა შემოსავალი — 125 მანეთს წელიწადში.

**შენიშვნა.** უკეთუ წყლის ან ქარის ძალით მომქმედი საწარმო რამდენსავე თანამონიწილეს ეკუთვნის, მათ შორის ინდივიდუალური წესით დაიბეგრებიან მხოლოდ ისინი, რომელთა შემოსავალიც საწარმოს მათი კუთვნილი ნაწილისა აღემატება წისქვილისათვის 150 მან. წელიწადში, ხოლო დანარჩენ საწარმოთათვის 125 მან. წელიწადში.

გ) უკეთუ მეურნეობას აქვს სამრეწველო საწარმო და ამ საწარმოს მეშვეობით იგი ეწევა გარემო მოსახლეობის ექსპლოატაციას სამუშაოს სახლში გაცემით, ან ეს საწარმო ოჯახით აქვს გაცემული და მისი შემოსავალი 125 მან. აღემატება წელიწადში;

დ) უკეთუ მეურნეობა აქირავებს რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას ან ამ მანქანით ასრულებს სამუშაოს სხვა მეურნეობისათვის სასყიდლის აღებით;

ე) უკეთუ მეურნეობამ შეამცირა თავისი ნათესი ფართობი და სისტემატიურად აქირავებს თავის საწევ ძალას სხვა მეურნეობას და შემოსავალი აღემატება 125 მან. წელიწადში;

ვ) უკეთუ მეურნეობა იჯარით იღებს მიწას ისეთ პირობებში, რასაც სარაიონო საგადასახადო კომისია სცნობს კაბალურ პირობებად მიწის გამცემისათვის;

ზ) უკეთუ მეურნეობა აქირავებს ცალკეულ მოწყობილ შენობებს საცხოვრებლად ან საწარმოს მოსათავსებლად და ამ ქირავნობის შემოსავალი წელიწადში 200 მანეთს აღემატება — ყველა რაიონში, გარდა საკურორტო რაიონებისა. საკურორტო რაიონში მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალური წესით დაიბეგრება იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობის საერთო შემოსავალი 500 მანეთს აღემატება, ხოლო შენობის გაქირავებით მიღებული შემოსავალი — 300 მანეთს წელიწადში.

**შენიშვნა.** კულაკურ მეურნეობათა რიცხვს არ მიეკუთვნება ის მუშა-მოსამსახურე, რომლის ძირითად მოსაქმეობას შეადგენს დაქირავებით მუშაობა ან სამსახური და რომელსაც აქვს მცირე სოფლის მეურნეობა რა-



გორც დამზარე წყარო შემოსავლისა და ამის გარდა—საკუთარი შემოსავლის ექსპლუატაციასაც იგი ეწევა იჯარით ვაცემის საშუალებით. ეს მუშა-მოსამსახურე სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება საერთო წესით, როგორც საგლეხო შრომითი მეურნეობა;

თ) უკეთუ მეურნეობა საეპრო და საპრეწველო ექსპლუატაციის მიზნით იჯარით იღებს ბალს, ვენახს და სხე.

„თ. პუნქტის შენიშვნა 1. იჯარით აღება ხილის ბალის, ვენახის და სხე. ფართობისა, რაც არ აღემატება უწყებულ სოფელში იმავე სანახების საშუალო ნორმის ერთ მეურნეობაზე, კულაქური მეურნეობის ნიშნად არ ჩაითვლება;

შენიშვნა 2. ხილის ბალის, ვენახის და სხე. საწილადოდ იჯარით აღება არ გამოიწვევს ინდივიდუალური წესით დაბეგრას, უკეთუ მეურნეობა იჯარით აღებულ ნაკვეთს ამუშავებს დაქირავებული შრომის გამო-უყენებლად.

ი) უკეთუ მეურნეობის წევრი ეწევა ვაჭრობას, მევახშეობას ან მას აქვს სხვა არაშრომითი შემოსავალი (მათ შორის რელიგიური კულტის მსახური), მიღებული შემოსავლის რაოდენობის მიუხედავად.

77. სასოფლო საბჭო შეადგენს ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათა სიას და განსაზღვრავს მათი შემოსავლის რაოდენობას.

სასოფლო საბჭოს მიერ შედგენილი სია და შემოსავლის გამოანგარიშება განხილულ უნდა იქნეს ლარიბებისა, კოლმეურნეებისა და საშუალო გლეხთა აქტივის კრებებზე.

ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათა სიას და მათ შემოსავლს დამტკიცებს სარაიონო საგადასახადო კომისია. უკეთუ ამ კომისიას ეჭვი დაეებადება ამა თუ იმ მეურნეობის ინდივიდუალური დაბეგრისა და აგრეთვე შემოსავლის განსაზღვრის სისწორის თაობაზე, იგი მოახდენს მეურნეობის გამოკვლევას.

78. არასამიწათმოქმედო საშოვარი, ამ რიცხვში ყოველგვარი საშუაო ხელფასი, მთლად ჩაირიცხება კულაქური მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში, უკეთუ ოჯახის იმ წევრს, ვისაც ეს საშოვარი აქვს, მეურნეობასთან კავშირი არ გაუწყვეტია და აქვს ამ მეურნეობაში თავისი მიწის ნაკვეთი.

79. ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათ გადასახადი გადახდებათ შემდეგი რაოდენობით:

შემოსავლის პირველ 500 მანეთზე მეურნეობას გადახდება 20 კაპ. თითო მანეთზე.

შემოსავლის 500 მან.	მეტრ თანხ.	700 მ-დე	გადახდება	30 კ.	თითო მ.
„	700 „	„	1000 „	„	40 „
„	1000 „	„	3000 „	„	50 „
„	3000 „	„	6000 „	„	60 „
„	6000 „	„	„	„	70 „



80. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარდა, კულაკურ მეურნეობას დაბეგრება სარეწაო გადასახადი ყველა რეწაობისათვის, რაც სარეწაო გადასახადის კანონის თანახმად დაბეგრად უნდა იქნეს როგორც ბრუნვის პროცენტული შეფარდებით, ისე მტკიცე განაკვეთების მიხედვით.

81. კულაკი, რომელიც სოფლის მეურნეობას საქალაქო მიწაზე ეწევა, დაიბეგრება ან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ან საშემოსავლო გადასახადით.

82. იმ მეურნეობას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ იბეგრება, არავითარი შეღავათის უფლება გადასახადის სფეროში არა აქვს.

83. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრადი მეურნეობა შეწერილ გადასახადს გადაიხდის მთლად 1931 წლის ოქტომბრის 1-სათვის.

84. ის განკულაკებული მეურნეობა, რომელსაც არა აქვს ნამალევი შემოსავალი, კაპიტალი და ქონება, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება საერთო საფუძველზე ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების თანახმად, ხოლო მას არა აქვს არავითარი შეღავათის უფლება.

## კ ა რ ი VI.

### გადასახადის გადახდვინების ორგანიზები

#### განცხადებათა და საჩივართა შეტანის და განხილვის წესი

85. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარება სოფლად დაეკისრება სასოფლო საბჭოებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და იმ ქალაქ-ადგილების საქალაქო საბჭოებს, სადაც სოფლის მეურნეობის მწარმოებელი პირნი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან.

86. სასოფლო საბჭოს დაეკისრება:

ა) აღნუსხოს შემოსავლის წყაროები;

ბ) წინასწარ შეადგინოს სიები: 1) იმ მცირე-ძალოვანი მეურნეობებისა, რომელნიც განთავისუფლებულ უნდა იქნენ გადასახადისაგან სრულიად ან ნაწილობრივ; 2) იმ მეურნეობებისა, სადაც იბეგრება კერძო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი (მუხ. 49); 3) ინდივიდუალური წესით დასაბეგრი კულაკური მეურნეობებისა;

გ) გამოიანგარიშოს დასაბეგრი შემოსავლისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობა, შეავსოს სავადსახადო ფურცლები, აწარმოოს ცალკე გადახდელთა პირადი ანგარიშები და აგრეთვე მთლად ანგარიშწარმოება და ანგარიშგება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სასოფლო საბჭოს დაკისრებული აქვს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ;

დ) ჩააბაროს გადახდელთ სავადსახადო ფურცლები;

ე) მიიღოს გადასახადის შეესატანი თანხა და გადაუგზავნოს იგზ, დადგენილი წესისამებრ, გადასახადის მიმღებ დაწესებულებას;

ვ) შეადგინოს სათანადო აქტები სტიქიური უბედურების შემთხვევაში;

ზ) დაუბრუნოს და გაუბაროს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელს ზედმეტად შეტანილი თანხა იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო საბჭო გადასახადს იღებს;

თ) დააჯარიმოს გადამხდელი ადმინისტრაციული წესით 98 მუხლის თანახმად;

ი) იხმაროს იძულებითი ღონისძიებანი გადასახადის გადახდევინებისათვის არაპირიან გადამხდელთა მიმართ.

87. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩასატარებლად სასოფლო საბჭოებთან ყველგან მოაწყობ სასოფლო საგადასახადო კომისიები.

სასოფლო საგადასახადო კომისიის წევრები არიან: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე, სასოფლო ყრილობაზე არჩეული პირი, კოლმეურნეობის გამგეობის წარმომადგენელი და ღარიბთა ჯგუფის წარმომადგენელი.

სასოფლო საგადასახადო კომისიის თავმჯდომარე არის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

88. სასოფლო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ მცირეძალოვან მეურნეობათა სია;

ბ) წინასწარ განსაზღვროს თვითთელი მეურნეობისათვის რაოდენობა არასამიწათმოქმედო შემოსავლისა;

გ) წინასწარ განსაზღვროს შემოსავალი იმ მეურნეობებისა, სადაც იბეგრება ყერძო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი;

დ) წინასწარ განიხილოს კულაქურ მეურნეობათა სია და განსაზღვროს მათი შემოსავალი;

ე) წინასწარ განიხილოს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა საჩივარი და შუამდგომლობა შელავათისა და მონაკლების შესახებ.

89. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს აღნუსხვის საქმეს;

ბ) შეამოწმოს, თუ რამდენად სწორია სასოფლო საბჭოების მიერ შედგენილი სოფლობრივი სიები და მათ მიერვე წარმოებულ აღნუსხვა შემოსავლის წყაროებისა;

გ) დაამტკიცოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ მეურნეობათა სია;

დ) საერთო მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს გადასახადის გადახდევინების საქმეს რაიონის ფარგლებში;

ე) ინსტრუქტირება გაუწიოს კოლმეურნეობათა გამგეობებს, თვალყური ადევნოს კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშებას და შეამოწმოს მათ მიერვე გადასახადის წინასწარი და საბოლოო გამოანგარიშების სისწორე;

ვ) გაანთავისუფლოს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სოფელიდან ნაწილობრივ სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობანი;

ზ) მისცეს გადასახადის გადახდელთ კანონით გათვალისწინებული ყველა შეღავათი და მონაკლები;

თ) იხმაროს იძულებითი ღონისძიებანი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინებისათვის იმ წესით, რაც გათვალისწინებულია გადასახადების გადახდევინების დებულებაში;

ი) დააჯარიმოს კოლმეურნეობა გადასახადის გამოსაანგარიშებლად საჭირო ცნობების არა თავის დროზე წარმოდგენისათვის და აგრეთვე არა სწორე ცნობების მიცემისათვის;

კ) გამოიანგარიშოს დასაბეგრი შემოსავალი და სასოფლო-სამეურნეო გადასახადი იმ რაიონების გამოკლებით, სადაც ეს მუშაობა დაკისრებული აქვს სასოფლო საბჭოს;

ლ) დაუბრუნოს და გაუბაროს გადასახადის გადახდელს ზედმეტად შეტანილი თანხა;

მ) აწარმოოს ცალკე გადახდელთა პირადი ანგარიშები და აგრეთვე მთლად ანგარიშწარმოება და ანგარიშგება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დარგში.

90. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა სარაიონო საგადასახადო კომისიები შემდეგი შედგენილობით:

ა) თავჯდომარე—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების გამგე;

გ) საადგილმამულო განყოფილების გამგე;

დ) საფინანსო პროფესიონური ორგანიზაციის წარმომადგენელი;

ე) კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირის გამგეობის წევრი;

ვ) სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე — იმ საქმეების გამო, რაც უწყებულ სოფელს შეეხება;

ზ) სარაიონო-საგეგმო ორგანოს წარმომადგენელი.

91. სარაიონო საგადასახადო კომისიის დაეიკისრება:

ა) წინასწარ განიხილოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პროექტები დადგენილებისა შემოსავლის ცალკე წყაროებისათვის შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ;

ბ) გადასწყვიტოს საკითხი მცირეძალოვან კოლმეურნეობათა გადასახადისაგან გაანთავისუფლების შესახებ;

გ) განიხილოს და დაამტკიცოს იმ მეურნეობათა სიები და შემოსავლის რაოდენობა, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს კერძო ბაზარზე მყიდნიან;

დ) განიხილოს გადახდელთა საჩივრები;

ე) განიხილოს და დაამტკიცოს ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მეურნეობათა სიები და განსაზღვროს მათი შემოსავალი;

ვ) გამოარკვეოს გადამხდელთა არასამიწათმოქმედო შემოსავლის რაოდენობა და საბოლოოდ განსაზღვროს მთლად დასაბეგრი შემოსავლის თანხა იმ მეურნეობათათვის, რომელთაც არასამიწათმოქმედო საშოვარი აქვთ;

ბ) განიხილოს კოლმეურნეობათა საჩივარი.

92. ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია და საწარმო (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო) ვალდებულია წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო-სამეურნეო გადამსახადის გადამხდელთ მიეცათ; ამასთანავე მათ უნდა აღნიშნონ თანხის მიმღებების სახელი, მამის სახელი და გვარი, მათი საქოვრებელი ადგილი (სოფელი, რაიონი) და აგრეთვე ის, თუ რისთვის მიეცათ თანხა გადამხდელთ.

93. ინდივიდუალურ მეურნეობათა და კოლმეურნეობათა ყველა განცხადება და საჩივარი სასოფლო-სამეურნეო გადამსახადის შესახებ შეიტანება სასოფლო სამკოში, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს იგი განსახილველად სასოფლო საგადასახადო კომისიას.

სასოფლო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სარაიონო საგადასახადო კომისიაში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

94. კოლმეურნეობათა განცხადება და საჩივარი სასოფლო-სამეურნეო გადამსახადის გამო შეიტანება სარაიონო საფინანსო განყოფილებაში, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს იგი განსახილველად სარაიონო საგადასახადო კომისიას.

სარაიონო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში — საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოში.

ამ ორგანოების გადაწყვეტილება საბოლოოა.

95. განცხადებათა და საჩივართა შეტანისათვის დადგენილია შემდეგი ვადები:

ა) საჩივარი შემოსავლის წყაროებისა და მჭამელთა რიცხვის არასისწორით აღრიცხვის შესახებ და შემოსავლის განსაზღვრისა და გადასახადის გამოანგარიშების შესახებ, აგრეთვე განცხადება შეღავათის მიცემის შესახებ, გარდა სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული შეღავათისა, შეტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა გადამხდელისათვის საგადასახადო ფურცლის ჩაბარების დღიდან;

ბ) განცხადება სტიქიური უბედურების გამო შეღავათის მიცემის შესახებ, უკეთეს სტიქიური უბედურება შემოსავლის წყაროების აღნუსხვამდე მოხდა, შეტანილ უნდა იქნეს აღნუსხვის დასაწყისს; დანარჩენ შემთხვევაში განცხადება შეიტანება 15 დღის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც სტიქიური უბედურება მოხდა.

96. განცხადება და საჩივარი განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა მათი შეტანის დღიდან.

97. განცხადებისა და საჩივრის შეტანა გადასახადის გადახდევინებას ვერ შეაჩერებს.

### პ ა რ ი VII.

#### გადამხდელთა პასუხისმგებლობა.

98. უკეთეს გადახდელი გადასახადის გადახდევინების ორგანოს შემოსავლის წყაროებს დაუმაღავს, იგი დაჯარიმებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წესით.

ჯარიმას დაადებს სასოფლო საბჭო. ჯარიმა არ შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე ხუთჯერ აღმატებოდეს იმ თანხას, რა თანხითაც შემცირდება შეწერილი გადასახადი საშემოსავლო წყაროს გადამალვის გამო.

სასოფლო საბჭოს დადგენალება ჯარიმის დადების შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

99. ცნობების არა თავის დროზე წარდგენისათვის და აგრეთვე კოლექტიური მეურნეობის გადასახადის გამოსაანგარაშებლად არა სწორე ცნობების მიცემისათვის დამნაშავეს დაედება ჯარიმა 25 მანეთამდე.

100. გადახდელს, რომელიც გადასახადს ვადაზე არ გადაიხდის, შეეფარდება გადასახადთა გადახდევინების დებულებით ვათვალისწინებული ღონისძიებანი.

კერძოდ, იმ გადახდელის ქონება, რომელიც გადასახადს არ გადაიხდის, აიწერება და გაიყიდება, ხოლო ვადის გადაცილებისათვის მას გადახდება საურავი შემდეგი რაოდენობით:

კოლექტიურ მეურნეობას—0,1<sup>0</sup>/<sub>0</sub>,

ინდივიდუალურ შრომით მეურნეობას—0,2<sup>0</sup>/<sub>0</sub>,

კულაკურ მეურნეობას—1<sup>0</sup>/<sub>0</sub> თვითიული ვადაგადაცილებული დღისათვის.

### პ ა რ ი VIII.

#### შემოსავლის გადასახადის ზანაწილება.

101. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მიღებული ყველა თანხა მიიქცევა ადგილობრივ ხასხრად სასოფლო, სარაიონო და საქალკო ბიუჯეტში.

102. სასოფლო ბუჯეტში უშუალოდ მიიქცევა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნაწილი—არა ნაკლებ უწყებულის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მიღებული მთელი თანხის 75<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ისა.

103. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მიღებული მთელი თანხა ვარდა იმ თანხისა, რაც უშუალოდ სასოფლო ბიუჯეტში მიიქცევა, ჩაირიცხება სარაიონო ბუჯეტის საშემოსავლო ნაწილში—მოწესრიგების სარაიონო ფონდში მცირეძალოვანი სასოფლო საბჭოების ბიუჯეტების განსამტკიცებლად. იმ შემთხვევაში, როდესაც უწყებულის სოფელი დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილ ქალაქს უერთდება, ერთიანი სას.-სამ. გადასა-

ხადით მიღებული თანხა, გარდა იმ ნაწილისა, რაც უშუალოდ სასოფლო ბიუჯეტში მიიქცევა, ჩაირიცხება საქალაქო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

104. ის თანხა, რაც მუღებულ იქნება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით საქალაქო მიწებიდან, მთლად მიიქცევა საქალაქო ბიუჯეტში.

### კ ა რ ი IX.

#### დადგენილებაანი და ინსტრუქციები ამა დადგენილების შესარღვევისათვის.

105. ამა დადგენილებით გათვალისწინებული ყველა დადგენილება ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის საკანონმდებლო ორგანოებისა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისა გამოქვეყნებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1931 წლის მაისის 1-ისა.

106 ინსტრუქციებისა და წესების გამოცემა ამა დადგენილების შეფარდებისათვის დაეცისრება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. აპრილის 18.

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის“ მე-93 №-ში 1931 წ. აპრილის 23.

### შეცდომის გასწორება

“კანონთა კრებულის“ მე-2 №-ში, მე-18 მუხლში, 27 სტრიქონში ზევიდან:  
დაბეჭდილია: უნდა იყოს:  
მევენახეობას მევენახეობას